№ 96 მაისი 9, კვირა — 1893 — მაისი 9, კვირა № 96

# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვისძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 — სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1893

**ეფემია და მელანია** წილოსნისანი სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ მობრძანდნენ კვირას, 9-ს მაისს, ვერაზედ, იოანე ღვთისმეტყველის ეკკლესიაში, სადაც გადახდილ იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი, მოსახსენებლად პირველის შვილისა და მეორეს მეუღლისა, პოლკოვნიკის **ნიკოლოზ იოსების ძის წილოსანისა.**
წირვა დაიწყება დილის ათ საათზე. (2—2)

---

წიგნების გამომცემელი ქართველთა ამხანაგობის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამხანაგობის საზოგადო კრება დანიშნულია შაბათს, 15 მაისს,, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში, საღამოს 7 საათზე. განსახილველი საგნები:

1. ანგარიში „ქართველთა ამხანაგობის" მოქმედებისა 1892 წლისა.
2. მოხსენება სარევიზიო კომმისიისა 1892 წ. ანგარიშის შესახებ.
3. სავარაუდო ანგარიში (სმეტა) შემოსავლისა და გასვლისა 1893 წ.
4. სარედაქციო კომმისიის მოქმედების ანგარიში 1892 წ.
5. მოხსენება გამგეობისა შესახებ სტამბის გასაუმჯობესებლად მანქანებისა და სხვა მოწყობილობის შეძენისა.
6. მოხსენება გამგეობისა შესახებ შრიფტის ჩამოსასხმელ ქარხანის დაარსებისა.
7. განხილვა ამხანაგობის პირობის წერილის ზოგიერთა შესაცვლელ მუხლთა.
8. არჩევანი ამხანაგობის გამგესი, მმართველობის ორი წევრისა, ხაზინადარისა და მდივნისა.
9. არჩევანი სარედაქციო კომმისიის ხუთის წევრისა და სარევიზიო კომმისიის სამის წევრისა.

ამხანაგობის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს წევრთ: 1) ვისაც ჰსურს კრებას წარუდგინოს განსახილველად რაიმე წინადადება, გამოუგზავნოს იგი გამგეობას მაისის ცამეტამდე; 2) ვისაც უქილობაზე დასწრება არ შეუძლია, გამოუგზავნოს გამგეობას: ა) სია კანდიდატთა ზემოდ დასახლებულ თანამდებობაში ჩასაყენებლად და ბ) რწმუნების წერილი ქალაქში მცხოვრებ რომელისამე წევრის სახელზე.

არა წევრთ კრებაზე დასწრება ალეკრძალებათ. (3—1)

---

## ქართული დაუდევრობა

—

ამას წინად ტფილისის გუბერნიის საერო სკოლების დირექტორმა მოსთხოვა ტფილისის სახელოსნო სკოლის გამგეთა, რომ სწავლება ამ სკოლაში ამიერიდგან რუსულის სახელმძღვანელოების შემწეობით სწარმოებდესო.

თუმცა ამ ნაირი მოთხოვნილება არ ეთანხმება მთავრობისგან დამტკიცებულს პროგრამმას სკოლისას და დღემდის სწავლება ქართულს განყოფილებაში ქართულს ენაზედ იყო, მაგრამ ბ-ნმა დირექტორმა თავის მოთხოვნილების საბუთად შემდეგი გარემოება მოიხსენია: „რადგანაც ქართულს ენაზედ არ არსებობს საჭირო სახელმძღვანელოები, და მასწავლებელნი იძულებულნი არიან ზეპირად ასწავლონ ყველა საგნები მოწაფეთა, ამისათვის საჭიროა, სწავლება დღეიდან რუსულს ენაზედ იყოსო".

ჩვენ არ ვიცით, რა მდგომარეობაშია ამ ჟამად ეს საქმე, მაგრამ ამას-კი ვიტყვით, რომ ერთ ნაწილში მოთხოვნილება ბ-ნის დირექტორისა მიგვაჩნია სრულიად კანონიერად.

მართლა, როგორ შეიძლება არსებობდეს სკოლა და წიგნები-კი, რომლითაც უნდა ისწავლონ მოწაფეებმა, არსად იშოვებოდეს! გვჯერა, რომ მასწავლებელნი გულ-მოდგინედ ეპყრობიან თავის საქმეს და, სანამდის გაკვეთილს აუხსნიდნენ მოწაფეთა, თითონ ბევრს შრომობენ, რომ ქართულად კარგად გადასცენ, რაც რუსულ სახელმძღვანელოებში სწერია, მაგრამ ეს მაინც ერთობ ძნელი საქმეა და ასე არ შეიძლება მისი განგრძობა.

ამ გვარად სწავლებას მრავალი დაბრკოლება მოსდევს და, სანამდის წესიერად შედგენილი სახელმძღვანელოები არ გვექნება, სამასწავლებლო მთავრობას ყოველთვის აქვს სიმართლე გვისაყვედუროს.

ჩვენ არა გვაქვს ნამდვილი ცნობა, თუ რამდენი ქართველი არის ამ ჟამად, რომელსაც უმაღლესი სასწავლებელი ჰქონდეს დასრულებული. მაგრამ ვარაუდით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ უთუოდ, თუ მეტი არა, ათასი კაცი ხომ მაინც იქნება. სახელმძღვანელოს გადასათარგმნად არც არის საჭირო უმაღლესის სასწავლებლის გათავება. ამისთანა საქმეს შესძლებს საშუალო სწავლა-დამთავრებულიცა, ოღონდ რუსული და ქართული იცოდეს კარგად. ქართულისა და რუსულის კარგს მცოდნეს, არა გვგონია, გაუჭირდეს გადმოთარგმნა სახელმძღვანელოსი, მეტადრე, თუ საჭირო ტერმინების შემუშავება იკისრა ჩვენის ენის კარგად მცოდნეთა კრებულმა, ანუ კომისიამ.

არა გვგონია, რომ ჩვენში არ მოიპოვებოდნენ იმდენად მცოდნენი რუსულისა და ქართულის ენისა, რომ ასეთი საქმე შესძლონ. მაგრამ საჭირო სახელმძღვანელონი კი მაინც ჯერაც არა გვაქვს.

მხოლოდ ბუნებით ისეთს დაუდევარს ხალხშია შესაძლებელი მოხდეს ასეთი ამბავი, როგორც ჩვენა ვართ.

სანამდის ქართულს ენაზედ არ გვექნება თითქმის სრული კოლლექცია კარგად შედგენილ სახელმძღვანელოებისა, მინამდის, შეგვიძლიან დავარწმუნოთ ჩვენი განათლების მოსარჩლენი, ქართულის სკოლის საქმე და ქართულის ენის წარმატების საქმეც წინ ვერ წაიწევს. ამ გვარის წიგნების საჭიროება ერთობ ცხადია და, არა გვგონია, ამ საგანს კიდევ რაიმე დამტკიცება უნდოდეს.

ამ გულ-გრილობას, რასაკვირველია, უნდა ბოლო მოეღოს, რადგანაც თვით გარემოება გვაიძულებს, რომ სახელმძღვანოლოები უთუოდ გავიჩინოთ. ამისთვის ჩვენ შემდეგს საშუალებას უნდა მივმართოთ:

გამოაცხადოს, ვისაც ეს საგანი უფრო ახლო შეეხება, რომ ვინც ექვს თვეში წარმოადგენს ნათარგმნს ან თავისით შედგენილს ამა თუ იმ საჭირო სახელმძღვანელოს, იმას მიეცემა ჯილდო და გასამრჯელო.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩვენი განათლებული ახალგაზდობა მხურვალე მონაწილეობას მიიღებს ამ ქვეყნისთვის ფრიად საჭირო საქმეში და არც შრომას მოერიდება, ოღონდ კი შესაძლებელი შეიქმნას ქართულად სწავლება საგნებისა.

ჩვენის ფიქრით, ამ საქმის გაძღოლა ისევ „წერა-კითხვის საზოგადოებამ" უნდა იკისროს. მან უნდა შეადგინოს კომისიაც ტერმინოლოგიის შესამუშავებლად; მანვე უნდა გაარკვიოს, რომლის სახელმძღვანელოს გადათარგმნა შესაძლებელია და სასურველი; რომლის შედგენაა საჭირო, რა ვადაზე რომელი დამზადებულ იქმნას მათ შორის და რომლის თარგმნასა, ანუ შედგენაში რა ჯილდო და რა სასყიდელი უნდა დაინიშნოს.

მართალია, ამ საქმეს ზემოხსენებული საზოგადოება წინადაც ეცადა და მის ცდას სასურველი ნაყოფი ვერ მოჰყვა, მაგრამ მაინც საჭირო საქმეს თავს ვერ მივანებებთ მარტო იმ მოსაზრებით, რომ 12—15 წლის წინად ვსცადეთ მაგ საქმის გარიგება და არა გამოვიდარაო.

ვსცადოთ მეორედა და მესამედ კიდევ, ვსცადოთ მეტის გულ-მოდგინებით და იქნება ჩვენმა თავგამოდებულმა მეცადინეობამ ახლა მაინც არ ჩაიაროს ამაოდ.

მეველე

—◆◆—

**ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ.**

„Прав. Вѣст." დაბეჭდილ ცნობებიდგანა სჩანს, რომ 2 აპრილიდგან 10 აპრილამდე ყუბანის ოლქში ხოლერით ავად გამხდარა 6, გარდ. 1. პოდოლის გუბერნიაში 24—30 აპრილს ავად გამხდარა 241, გარდ. 68; სიმბირსკის გუბერნიაში ავად გამხდ. 4, გარდ. 1.

—◆◆—

## ახალი ამბავი

—

⁂ პრაპორშჩიკს თ. დავით კონსტანტინეს ძეს ნიჟარაძეს უფლება

---

# ფელეტონი

—

### ძველს ქვეყნებში

(მგზავრის წერილები)

II

ვენეციიდგან ფლორენციაში. — ფლორენცია.

ვენეციის ცხოვრებას ნაღვლიანობა ეტყობა. უცხოელიც-კი, ცოტა ხნობით იქ მისული, მალე ეძლევა დაღვრემილებასა და ნაღვლიანობას. მე მეტად სამძიმოდ მეჩვენა იქ ცხოვრება, თუმცა ვენეციის თითქმის მუდამ გაბრწყინვებული მზე სამხიარულოდ იწვევს ადამიანს და ენა-მახვილ იტალიელ ქალების საუბარი დიდის დარდის პატრონსაც გაართობს და მცირე ხანს მაინც მოღრუბლულ შუბლს გადუწმენდს, მეტადრე იმ დროს, როდესაც სასტუმროში მრავალი ქალი და კაცი table d'hôte-ს (საერთო სუფრას) შემოსხდომია და გემრიელ სასმელ-საჭმელს ოხუნჯობით აზავებს. ჩემი გული ვენეციაში არ ისვენებდა და მშვენიერ ფლორენციისაკენ, იქაურ უფრო მოკრიალებულ ცისკენ მიისწრაფოდა.

ბოლონიამდე (Bologna) დიდი და მეტად მოსავლიანი მინდორია, რომელსაც რკინის გზის ლიანდაგი ორად სჭრის და რომელიც არაფრით ჩამოუვარდება ჩრდილო იტალიის უდიდეს მინდორ-ველს. რკინის გზით მიმავალი სიამოვნებით დაჰყურებს ერთგვარად ამწვანებულს ვაკე-მინდორს, თუმცა საოცნებო აქ არაფერია: ჯერ შორსა ხარ იმ იტალიაზე, რომელიც მშვენიერებისა და პოეზიის აკვნად არის წოდებული.

მართალია, იტალიის სიდიადემ აქაც იჩინა თავი, მაგრამ სულ სხვა ნაირად, ვიდრე რომსა და ფლორენციაში. პადუა და ბოლონია დიდხანს წარმოადგენდნენ სამეცნიერო ასპარეზს, სადაც იბადებოდა, იზრდებოდა და შემდეგ მთელს ქვეყანას ხელთ-იპყრობდა მრავალ გვარი სწავლა. მოძღვრება, მეცნიერება; ფერრარში სცხოვრობდა ტორკვატტო ტასსო, ავტორი „განთავისუფლებულის იერუსალიმისა". ხელოვნებამ-კი აქ ეგრე რიგად ფეხი ვერ აიდგა; ხუროთ-მოძღვრებამაც-კი ისეთი შესანიშნავი ვერა შეჰქმნა-რა, რომ შევუთანასწოროთ იმ საოცარ ძეგლებს ხელოვნებისას, რომლებსაც ვხედავთ ტოსკანიასა, ვენეციასა და რომში.

ბოლონიადგან სახე ქვეყნისა სრულიად იცვლება: აქ იწყება ტოსკანის მთა და მასთან მრავალ გვარი და მრავალ ფეროვანი სანახაობა; მთლად ბუნება ისეთს ნაზს არსებას წარმოადგენს, რომ ჩრდილო იტალიაში სიზმრადაც არავის მოეზმანება. ეს არის კეკლუცი ტოსკანა, სამოთხე იტალიისა, სამშობლო მშვენიერებისა, თაიგული მთელ ქვეყნისა, ალპიიდგან სიცილიამდე. ჰგული კრთის სიხარულით, თვალი ხარბად დასცქერის ამ თითქო არა ქვეყნიურ არე-მარეს და ოცნება უფრო მოუთმენელად მიისწრაფის ყვავილთა და მშვენიერ ქალთა ქალაქისკენ — ფლორენციისაკენ, რომელიც, მიქელ-ანჯელოს სიტყვით, „გაჩენილია ანგელოზთაებრ ტურფად ათას მიჯნურთა ტრფობისათვის".

დაღამდა. რკინის გზის მატარებელმა განვლო უკანასკნელი გვირაბი და გაჩერდა სადგურთან მინით დახურულ ჭერ ქვეშ.

მეც სიყვარულით აგზნებულ მიჯნურად მიმაჩნდა თავი, როდესაც ეტლი სასტუმროსკენ მიმაქანებდა. მე ეხლა ფლორენციაში ვიყავი და ხვალვე შემეძლო ყოველივე საკუთარის თვალით მენახა, რის ხილვაც დიდი ხანია მენატრებოდა. თავბრუ მეხვეოდა, გული მიძგერდა და იმ დროს მაგონებდა, როცა ახალ-გაზდა ჭაბუკი დავბრუნდი ჩემს სამშობლოში, სადაც დიდის ხნის უნახავი პირველი ჩემი სატრფო მეგულებოდა.

ათინასა და რომში რომ მივედი პირველად, ისე ვგრძნობდი თავს, თითქო დღეობაში ვიყავ, მიხაროდა, მაგრამ ეს სიხარული ცალ-კერძი იყო. ფლორენციაში-კი სიხარულმა მთლად ჩემი არსება შეიპყრა, ჰკუას ჩვეულებრივი ბატონობა აღარ შეეძლო, გული მეფობდა. აქ არა გაგონებს-რა ათას წლოვანს დიდებულს წარსულს, რომ ღრმად ჩაგაფიქროს და მხოლოდ წარსულით გაგართოს; აქ ბელფებისა და გიბელლინების ბრძოლა არ მომხდარა, არც მედიჩების ამბავი, რომ საზარელი სანახავი წარმოგიდგეს და გული აღგიშფოთდეს. ფლორენცია სულ სხვაფრივ არის შესანიშნავი: აქ ადამიანის საოცარმა ნიჭმა შეჰქმნა სამაგალითო ნიმუშები ხელოვნებისა; აქ აყვავდა ხუროთ-მოძღვრება, მხატვრობა, პოეზია და ბოლოს დროს მუსიკაც. აქაურ სიცოცხლეს რაღაცა მანათობელი სხივი ადგია და ბუნება მუდამ ჟამს ადამიანის გულსა და თვალს ახარებს. ტყუილად-კი არ ამბობს ბაირონი ფლორენციის შესახებ: „შენ ხარ სამშობლო ყოვლისა, რის შექმნაც ხელოვნებასა და ბუნებას შეუძლიანო". რავდენჯერ გადამიკითხავს ეს სიტყვები ალბიონის დიდე-

მიეცა მოსკოვში რუსულ ენაზედ გაზეთის გამოცემისა, სათაურით: „ვაჭრობა და მრეწველობა“. გაზეთი წელიწადში ეღირება გაუგზავნელად 4 მან. გაგზავნით 5 მან.

*** ჩვენ მივიღეთ ბ-ნ ვასილ ბერელაშვილისა და დავით ფორაქაშვილის-მიერ ტფილისის ვაჭართა შორის შეგროვილი 46 მან. 10 კ., სალიტერატურო ფონდის სასარგებლოდ. ამას გარდა მივიღეთ 60 მ., შეკრებილი ქ-ნ მარიამ კერესელიძისა და ლევან ფურცელაძისაგან. ამ ფულისა გვქონდა 98 მ. 20 კ. შესდგა სულ 204 მ.ნ. 30 კ.

*** ჩვენ მივიღეთ ახალი ქართული წიგნი „რიჩარდ III“, ტრაგედია 5 მოქმედ. უილიამ შექსპირისა, თარგმნილი ინგლისურით თ. ივ. მაჩაბლის მიერ. ტრაგედია ნათარგმნია ურითმო ლექსით და ღირს 40 კ.პ.

*** ამ დღეებში სიღნაღში გაემგზავრა ტფილისის ოლქის სასამართლოს მიწის გ მმოჯვნელ განყოფილების სესსია. დარჩება იქ მაისის დამლევამდე და სხვათა შორის გაარჩევს საქმეს აგარაკ გურჯაანის გამიჯვნისას. ამ აგარაკის გამიჯვნის გამო დავაა თ. ანდრონიკაშვილისა, აბაშიძისა, ჯორჯაძეებისა და ხაზინას შორის. ამ საქმის შესახებ მიწვეულ მოწმეთა შორის ბევრი უკვე გარდაიცვალა და ამიტომ საქმის გარჩევა ძლიერ გაძნელდა.

*** ბორჯომის საბოქაულოში სოფ. ლიქანში წითელა გაჩნდა. ავად გახდა 17, გარდ.—1; სოფ. ვაშლოვანში ავად არის 1. ხაშურში აპრილში რკინის გზის სახელოსნოს მოწაფეთა შორის გაჩნდა გადამდები სენი: ხუნაგი და წითელა. ხუნაგით ავად გახდა 1, წითელით—20 მოწაფე.

სოფ. ბრეთში 5 აპრილიდგან ყვავა-ხველა გაჩენილა. ავად გახდა 5 ყმაწვილი.

*** 6 მაისს, ღამის 10 ს., ნათლუღის ახლოს რკინის გზის დარაჯს დაეცა ხუთი შეიარაღებული თათარი; თავს დაადგნენ და უთხრეს, თუ ფულს არ მოჰგვცემ, ცოლშვილით დაგხოცავთო. ამ დროს ტფილისიდგან გამოირა საქონლის მატარებელმა. რკინის გზის დარაჯის ყმაწვილმა ფანჯრიდგან შემაშინეს წითელი ბაირალი დაანახვა. მემაშინემ მაშინვე შეაჩერა მატარებელი. ავაზაკები გაიქცნენ. რკინის გზის დარაჯი თავის ცოლშვილით მატარებელს დაუსხდნენ და აგტ გლიას წავიდნენ, რადგანაც შიშით ველარ დარჩნენ თავიანთს სადგომში.

*** ყვარელი (თელავის მაზრა): ახლად გადმოყვანილ ლესნიჩის აკიმოვის სახლში თავი მოიკლა 24 წლის ახალ-გაზდა და მშვენიერმა ქალმა, მეშკოვსკისამ, რომელიც სცხოვრობდა ხსენებულს აკიმოვთან და ამ ცოტა ხანში ჯვარის წერას აპირებდნენ. განსვენებულს გიმნაზიაში ჰქონდა სწავლა დამთავრებული და ამბობენ, რომ კარგ ოჯახიდამაც ყოფილა. რევოლვერი დაუცია მარცხენა ძუძუს ქვემოდ.

*** მოსკოვი: ამ დღეებში გამოვიდა მესამე წიგნი Восточныя Древности“, რომელშიაც დაბეჭდილია ვრცელი წერილი ბ-ნ ალ. ხახანაშვილისა „Источники по введенію христіанства въ Грузіи. „Этнографическое Обоз.“ მე-XVI წიგნში, რომელიც აგრეთვე ახლა-ხან გამოვიდა, დაბეჭდილია მისივე წერილი: „Судъ общины у Грузинъ—горцевъ.

*** ს. დარჩელი (ზუგდიდის მაზრა): ს. დარჩელში დღე არ გავა, რომ მიცვალებული არ იყოს. ხან-და-ხან დღეში სამსა ჰმარხავენ. მიზეზი რა არის, არავინ უწყის; ფერშლები იყვნენ, მაგრამ იმათაც ვერ გაიგეს, რა მიზეზია და რა ავადმყოფობა აძლევს სოფელს ზარალსა. სასურველია, რომ კარგა და გამოცდილმა ნასწავლმა მკურნალებმა გამოიკვლიონ ეს გარემოება.

აქედ ძალიან უსიამოვნო გაზაფხულია. კარგი ამინდი არ გვინახავს, სულ წვიმა და სიცივეებია. მინდორველი, ხე-მცენარე ძრიელ გვიან იშლება და ისხავს ფოთოლს. შარშან ამ დროს ყანები დათესილი იყო და ამოსული, წელს-კი ყანები დახნულდაფარცხულიც არ არის. ყაჭის თესლისაგან გამოსული ჭია შარშან ამ დროს ცოცხზედ ადიოდა, წელს-კი ჯერ თესლისაგანაც-კი არ გამოსულა.

*** განჯა: 7 მაისს აქ დიდი უბედურება მოხდა. საღამოს 6 ს. 30 წ., როდესაც სადგურ განჯის უფროსი ვიაცლავ ფლორიონოს ძე კაზუბსკი თავის ოთახში მუშაობდა, შევიდა კონდუქტორად ნამყოფი ყაზბეგი და ხანჯლით დასჭრა. კაზუბსკიმ იქვე სული დალია. გამოვიდა ოთახიდგან ყაზბეგი, მივიდა იმავე სადგურის ნარიადჩიკთან მიხეილ ალექსანდრიძეს ძე კისელიევთან და ისიც დასჭრა ხანჯლით. ესეც ორის საათის შემდეგ გარდაიცვალა. დამნაშავე შეიპყრეს. ამბობენ, მიზეზი ამ ორის კაცის მკვლელობისა შურისძიება არისო.

*** მაისის 6 ძველს დამოუნის ქუჩაზე ტფილისის მცხოვრებელი ვასო ზახარიშვილი წაეჩხუბა ალექსი გუდაკოვს და დანით მუცელში დასჭრა. დაჭრილი სამკურნალოში გაჰგზავნეს, დამნაშავეს დაეძებენ.

*** ამავე დღეს გიგოლა ნოვასართოვმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ თელეთის გზაზედ დახვდა ბაგრატ არუთინოვი და სამს ალაგას დამჭრაო. ეს დაშავებულიც სამკურნალოში გაგზავნეს და მომხდარი ამბავი ტფილისის მაზრის უმფროსს აცნობეს.

# გაკვრით

(გზა და გზა და სხვათა შორის)

მზე აღარ მზეობს ჩვენთანა,
დარი არ დარობს დარულად.
რუსთაველი.

ვის არ გინახავს რომელსამე სასწავლებელში მისაღებ ეგზამენების გათავების შემდეგ ორი სურათი: ა) შეგირდები მხიარულნი და აღფრთოვანებულნი არიან; სახეზედ ნეტარებისა და კმაყოფილების ღიმილი უქრისთ; თვალთაგან ბედნიერებისა და ძლევა-მოსილობის ნაპერწკლები ცვივათ. გარს ახვევიან მშობელნი და ნათესავნი, არა ნაკლებ მხიარულნი, და გამარჯვებას ულოცავენ. ეს ის ბედნიერნი გახლავთ, რომელთაც წილად ხვდათ ეგზამენის დაჭერა და სასწავლებელში შესვლა; ბ) შეგირდები მოწყენილნი და სასოწარკვეთილნი არიან, სახეზე მწუხარების ბეჭედი ასვიათ, თვალთაგან მდუღარება სდით, გარს ახვევიან მშობელნი და ნათესავნი, ისინიც მწუხარენი, ფერ-მკრთალნი და თვალ-ცრემლიანნი. ეს ის უბედურნი გახლავთ, რომელთაც უთხრეს, რომ თქვენთვის სასწავლებელში ალაგი არა გვაქვსო.

რა თქმა უნდა, აქ ორსავე შემთხვევაში დიდი საბუთია სიხარულისაცა და მწუხარებისაცა. ერთნი მხიარულნი არიან სასწავლებელში შესვლის გამო, იციან იგემებენ ნაყოფს „ხისაგან ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა“. მეორენი ვიშობენ და ვალალობენ იმიტომ, რომ სასწავლებლის კარები დაუხშეს, არ მისცეს საშუალება ავისა და კარგის გაცნობისა.

გადის დრო და ვხედავთ, რომ გუშინდელნი ბედნიერნი დღეს უბედურნი გამხდარან, მხიარულება მათი გამქრალა, აღფრთოვანება გაქარ-წყალებულა, ნეტარებისა და კმაყოფილების ნაცვლად სევდასა და მწუხარებას მოუცავს მათი სახე, თვალებში უსიცოცხლობა და უიმედობა ეხატებათ, დაჰნატრიან იმათ ხვედრს, ვინც სასწავლებლის კარებიდამ გააბრუნეს. მაშასადამე, ენატრებათ ბედი უბედურთა... მაგრამ ყველაფერს ხომ თავის წრე და საზღვარი აქვს და, რასაკვირველია, მოთმინებასაც ექნება! და აი როცა ფიალა მოთმინებისა გაივსო, სასწავლებელი დაცალიერდა...

რად მოხდა ეგ ყოვლად სამწუხარო და სავალალო ამბავი? რა მოგახსენოთ! ალბად არის სადმე ყოვლისავე ამის მიზეზიც, სათავეცა და დასაბამიც. მაგრამ ჩვენ, უბრალო მომაკვდავთ, არავითარი უფლება არა გვაქვს ამგების მიზეზთა გამოძიებასა და გამოკვლევას შევუდგეთ.

თუნდაც გვქონდეს ამის უფლება, არ გვინდა შევიტყოთ, თუ რა ყოფაში არიან ჩვენი შვილები, ჩვენი ძმები, ჩვენი მომავალი პატრონები ქვეყნისა. ეს იმიტომ, რომ უმეტესობა დღესაც თავის თავს იმ ძველის ძველ თქმულობით ანუგეშებს, რომელიც ამბობს: „სწავლის ძირი მწარე არისო“. ვერ შევვიგნია, რომ ამ თქმულობამ, დიდი ხანია, მოიჭმა თავის დრო-ჟამი. ადამიანი სიჭაბუკის დროს სწავლობს და ნუ თუ ბარბაროსობა არ იქნება, რომ ეს ცისკარი, ეს გაზაფხული ადამიანის სიცოცხლისა გამწაროთ! პირ-იქით დღეს ყოველი ჭეშმარიტად განათლებული და განვითარებული ადამიანი, ქვეყნის წინ-სვლასა და წარმატებაზე მზრუნველი, იმის ცდაშია, რომ გაატკბოს და გაადვილოს ძირი სწავლისა. არ არის საფიქრელი, რომ მწარე ძირზე ტკბილი ნამყოფი აღმოცენდეს. „ხემსნ ხენეშსნ ნაყოფისა ხენეში გამოიღოსო“, ბრძანა მაცხოვარმა...

დროა, ჩვენმა კეთილის-მყოფლებმა შეიგნონ ეს უცილობელი ჭეშმარიტება და ამ შეგნებით მომავალ თაობას სიმწარე სწავლისა გაუტკბონ, თორემ დრო წინ გაგვისწრებს, ჩვენ უკან ჩამოვრჩებით და საქმე წახდებარ.

წამხდარსა საქმეს ვერ არგებს
მერმე-ღა თითზედ კბენანი.

კალამი

# სახელდახელო

(ყბად-ასაღები—წყალ-წასაღები ამბავი)

Низость—большая сила.
გიოტე

О, люди! жалкій родъ, достойный
слезъ и смѣха!
Жрецы минутнаго, поклонники успѣха!
პუშკინი

წლევანდელი საბანკო კრებები ბევრნაირად იყო საგულისხმიერო. ბევრი ღვარძლი და უმართებულო საქციელი დაითესა ჩვენს საზოგადოებაში... გმირნი ოპოზიციისა პასუხს გასცემენ მომავალს, ისტორია ჩვენის საზოგადოებურის ცხოვრებისა თავის დროზედ დააფასებს მათს მოქმედებას.

სხვათა შორის, წელსვე გამოაშკარავდა, რომ ოპოზიცია მტკიცედ ადგია გაცვეთილს პრინციპს: ყოველი ღონის-ძიება საკადრისია სურვილის მისაღწევადაო.

არა თუ გარედ, პირ-უკან, იქვე ბანკის კრებაზედ ოპოზიციის ზოგიერთი ორატორი ჰყვიროდა: ილია ჭავჭავაძეს უნდა სათავად-აზნაურო სკოლის გაუქმება, ჭავჭავაძე მტერია სტუდენტებისა, განათლებისა და სხვა ამისთანებს. ეს ხდებოდა, მოგახსენებთ, იმავე კრებაზედ, რომელზედაც

ბულ შვილისა და ძლივს ვირწმუნე მათი ჭეშმარიტება.

სასტუმროში, სადაც მე ჩამოვხდი, მხიარული საზოგადოება დამხვდა, რომელიც მუსიკა-სიმღერით ატარებდა დროს. ამ რიგად პირველ მისვლისათანავე ფლორენციამ სასიამოვნო შთაბეჭდილება იქონია ჩემზედ. მთელს საღამოს ფეხი არსად გამიდგამს, შევყურებდი ლამაზ, კეკლუც ქალებს და ვსტკბებოდი მათის სიმღერით.

დილით ჩავიცვი ტანთ ფაცა-ფუცით დ გამოვვარდი ქუჩაში. საჩქაროდ შემოვირბინე მთელი ქალაქი—დათან ვცდილობდი ჩემს თვალს შესანიშნავი არა გამოპარვოდა-რა. მერე ორთქლ-მავალით გავემგზავრე ქალაქ გარედ, რომ მთელი არე-მარე დამეთვალიერებინა. ოცნება არ გამიმტყუნდა: ფლორენცია ისე ლამაზი და ტურფა ყოფილა, რომ მე ვერც-კი წარმოვიდგენდი. არ ძალმიძს მკრთალი სურათი მაინც არის დავხატო ფლორენციისა და მისის არე-მარესი [illegible]ა მცირე წერილში მოვაქციო მრავალი საუნჯე, რომელიც-კი ამ ქალაქს შესძინეს მიქელ-ანჯელომ, რაფაელმა და მრავალთა სხვა და-სხვა ხელოვნების მცოდნეთა, გენიოსთა.

ძველი ნაწილი ფლორენციისა ცოტად უფერულია, ქუჩები ვიწრო, პატრიციების სასახლეები უფრო ციხე-დარბაზებსა ჰგავს, ვიდრე საცხოვრებელ სახლს. ეს ესეც უნდა იყოს, რადგანაც ამ ქალაქში სხვა-და-სხვა დასთა ბრძოლა ერთმანერთს შორის დიდხანს არ შეწყვეტილა. ფლორენციის სასახლეების მოყვანილობა, მაგალათად, პიტტისა, პალაცო ხორგეზე, ქალაქის საბჭო და სხვა, თუმცა შნოიანია, მაგრამ ეგრე რიგად შესანიშნავი არ არის; ეტყობა, რომ სიმკვიდრეს უფრო სცდილან ამშენებლნი, ვიდრე გარეგან სიმშვენიერესა.

უმთავრესი ძეგლი ხუროთ-მოძღვრებისა ტაძარია, რომელიც მოედნის შუაზედ სდგას და უზარ-მაზარ გუმბათით მთელს ქალაქს დასცქერის. ამ ტაძრის საძირკველი 1298 წ. ჩაუყრიათ, მას შემდეგ მეტად მძიმედ უმუშავნიათ დ ტაძარი მხოლოდ 1887 წელს დაუსრულებიათ. ბევრს სახელოვან ხუროთ-მოძღვარს შეულევია ზედ თავისი ცოდნა-ხელოვნება, და დღეს ეს ტაძარი მთელი მუზეია მათის ნაწარმოებისა. ფასადი ტაძრისა შემკულია მრავალ ქანდაკებით, ჩუქურთმით, ხრახნილით და სტატუებით, რომელთა აღწერას მრავალი ძველი და ახალი გამოჩენილი მწერალნი შესდგომიან, ვინკელმანიდგან დაწყებული ვიდრე გრეგოროვიუსამდე და მრავალ ტომიანი თხზულებანიც დაუწერიათ.

უფრო ბევრი-კი Uffizi ის შესახებ დაწერილა. აქ შეკრებილია მრავალ განთქმულთა მხატვართა ნაწარმოებნი. თითქმის არც ერთი გამოჩენილი მხატვარი არა ყოფილა დედამიწის ზურგზე, რომლის ნახატი არ იყოს შენახული ამ შესანიშნავ გალერეიაში. ამ ნახატთა შორის საუკეთესო და უფრო ძვირფასიც თვით ფლორენციის მხატვართ ეკუთვნის. იტალიის არც ერთი ნიჭიერი მხატვარი ფლორენციას არ აცდებოდა. ფლორენცია უდგავდა სულს და ზრდიდა ხელოვნებას, ხელს უწყობდა ნიჭს, უჩვენებდა სიდიადის გზას და უხვეჭდა მშრომელს უკვდავ სახელს. ვის არ აუსხავდა ფრთებს იქაური მოკაშკაშე ცა, ამწვანებული მთები, სურნელოვან ყვავილებით აღსავსე ბაღები და იქაური ქალები, განთქმულები სილამაზით მთელს იტალიაში.

ფლორენციელი ქალი ამაყი არ არის, როგორც ვენეციელი, ანუ მუდამ მღელვარე, ჟინ-მოუკლავი ნეაპოლელი ქ ლი. არა! ფლორენციელი ქალი თავ-დაბალია, თავაზიანი, გულ-წრფელი, ნაზი, ცქრიალა და ამასთანავე თავის ღირსების მცოდნე. ფლორენციის სული ქალია. ის იზიდავს ყველას კეთილ-შობილურის სახით, ალვის-ხესავით აყრილ ტანით, ყველა მოთხოვნილებათა გადუჭარბებლობით, მხიარულობით და პოეზია-მუსიკის სიყვარულით.

უნდა ჰნახოთ, როცა დღეობა იმართება ფლორენციაში და შნოიანად მორთული ქალები ათასობით მისეირნობენ ქუჩაში ფეხით ანუ ეტლებით; უნდა ჰნახოთ, როცა საზღაპრო მზეთ-უნახავებსავით მაღალ აივნიდგან გადმოიყურებიან და გამვლელ-გამოვლელნი, ნაცნობნი თუ უცნობნი, ერისა თუ ჯარის-კაცნი, მკვიდრნი და სტუმრად მისულნი, თაიგულებს ესვრიან და ისეთისავე კეთილ-სურნელოვან ყვავილებით ამკობენ, როგორც თვით ისინი არიან; უნდა ჰნახოთ საროს წელის რხევა, ხელების ნაზი მიმოხვა, სიცოცხლით სავსე თვალთა მეტყველება, ღიმილი, რომელიც რაფაელს ანგელოზთა სახეზედ გადუტანია—და მაშინ მიხვდებით, ფლორენცია რად გადაქცეულა ხელოვნებათა სამოთხედ.

მართალია, ფლორენციის მხატვრობის ბრწყინვალე დრომ, დიდი ხანია, განვლო, მაგრამ მშვენიერების სიყვარული არ გამქრალა, არ შემწიკვლულა. ფლორენციელნი დღესაც ისევ იმას ეტრფიან და იმით სტკბებიან, რასაც მათი სახელოვანი მამა-პაპა გულ-მოდგინედ ემსახურებოდა და რაც მისგანვე დარჩენია სახსოვრად.

ა. ლ.

თ. ილია ჭავჭავაძემ ბარემ ათასჯერ გაიმეორა: სკოლაა ჩვენი მთავარი საზრუნავი საგანი; ეხლა ისეთი დრო დაგვიდგა, რომ ხმალითა და მუშტით ველარას მოვეწევით, უნდა ვისწავლოთ. ჩვენი ბედ-იღბალი ჩვენს განათლებაზედ არის დამოკიდებული. რაც რამე გვაბადია, სულ სკოლას უნდა მივცეთო...

ერთის სიტყვით, ნამდვილი ბაბილონის ენათა არევას დავესწარით. ჭავჭავაძის ამ გვარის სიტყვების შემდეგ იქვე, იმავე წუთას გაიძახოდა ოპოზიცია: ეგ მტერია ჩვენის სკოლისაო!...

ბანკის კრებიდამ იმავე ოპოზიციამ ესევე საქებური ხრიკები ახლა გაზეთის ფურცლებზედ გადაიტანა.

„კვალის" მე-18 ნომრის „მატიანეში" ვკითხულობთ სხვათა-შორის:

„23 აპრილს დაიწყეს მსჯელობა სკოლების ხარჯზედ და სტუდენტების შესაწევარ ფულის გადაწყვეტაზედ. ბანკის გამგეობა და მისი პარტია ცდილობდა ძალიან შეემცირებინა ეს ხარჯები. ხოლო მოწინააღმდეგე პარტია ძალიან თავგამოდებული იყო, რომ სტუდენტებისათვის მაინც გადაედვათ ათას-ხუთასი მანეთი შესაწევნელად; მაგრამ ვერას გახდნენ. თ. ილ. ჭავჭავაძემ დიდის მჭევრ-მეტყველებით ილაპარაკა წინააღმდეგ სტუდენტების შეწევნისა და კიდეც უარი ათქმევინა საზოგადოებას ამ შეწევნაზედ".

რა აზრი აქვს ასეთის სიცრუის გავრცელებას გაზეთის საშუალებით, გარდა იმისი, რომ ილია ჭავჭავაძე დაამციროს საზოგადოების თვალში და თავისი საქმე წინ წასწიოს. მაგრამ ამაოდ ირჯებიან ოპოზიციის წარმომადგენელნი. საუკეთესო ნაწილს ჩვენის ერისას, მისს ინტელიგენციას, იმავე სტუდენტობას, ასეთის კუდ-მოკლე ტყუილებით ვერ შეუცვლიან რწმენას. კრებაზედ დამსწრე შეგნებულმა ნაწილმა ჩვენის საზოგადოებისამ თვალ ნათლად დაინახა, რაში მდგომარეობდა აზრი და წადილი ილ. ჭავჭავაძისა; არადამსწრეთაც ცოტად თუ ბევრად გაზეთების საშუალებით შეიტყეს, რომ არავითარი წინააღმდეგობა ბანკის გამგეობის პარტიას არ გაუწევია სკოლისათვის, არ ულაღადნია, რომ სტუდენტებს ნუ მივცემთ ფულს, რადგან ისინი სტუდენტები არიანო.

ან რომელ ჭკვათა-მყოფელ კაცს მოუვა ასეთი აზრი?

აზრი ბანკის გამგეობისაც, ზედამხედველის კომიტეტისაც, ილ. ჭავჭავაძისაც, ყოველ შეგნებულის წევრისაც ის იყო, რომ ჩვენს ბანკს თავისუფალი ფული არა აქვსო; რომ თვით სათავად-აზნაურო სკოლას დღეს ვალით ვინახავთო; მაშასადამე, თუმცა დიდის მწუხარებით, მაგრამ მაინც უარი უნდა ეთქვას იმ აუარებელ მთხოვნელთ: კერძო პირთ და დაწესებულებათ, რომელნიც ითხოვენ დახმარებას. უარი უნდა ეთქვათ სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელთ, თვით სკოლასაც, რაც-კი შესაძლებელია, ხარჯი უნდა შეუმციროდეს და... სტუდენტებსაც უარი ეთქვათ, თუმცა ამ უარის თქმის დროს ყოველ ჩვენგანს გული ეთუთქება, მაგრამ რას ვიზამთო? ათიოდე სტუდენტს ეშველოს ამ წუთას და მრავალ-წლობით დაწყობილი საქმე-კი საფრთხეში ჩავარდესო? არა, მოვიცადოთ ცოტაც, სადაც ამდენი გვიცდია, საქმეები გავასწოროთ, დახლში ფული ბლომად მოვაგროვოთ, რომ მერე ერთსა და ორს სტუდენტს-კი არა, ასსა და ათასს მოვეხმარნეთო. რასაკვირველია, ამ სიტყვებით-კი არა, მაგრამ ამასვე ამბობდნენ წარმომადგენელნი გამგეობის პარტიისა. ვიმეორებ, არა თუ მარტო ჭავჭავაძე, მრავალნი სხვანიც.

ახლა თქვენ მიბრძანეთ, განა აქედამ ის უნდა დაესკვნა ვისმე, რაც „კვალის" მემატიანემ სთქვა?

ასეთის სიმართლით სწერეთ და კაი მატიანე-ისტორიაც შეგიდგებათ!

თურმე სიცრუის თქმასაც მოხერხება და შნო სდომებია და, „კვალის" სასიხარულოდ, რასაკვირველია, მის მემატიანეს ამისი შნოც არა ჰქონია. თუ კაცმა განიზრახა აშკარად, საქვეყნოდ სიცრუის ქადაგება, ცოტა გძელ-ფეხა ტყუილი მაინც უნდა გამოაცხოს, რომ დრომდის, ერთი-ორის დღით მაინც, დააჯეროს მკითხველი, რომ მისი ნათქვამი მართალია. მიბრძანეთ, რომელი „კვალის" მკითხველი, სხვაზედ აღარას ვიტყვი, დაიჯერებს, რომ ილია ჭავჭავაძე წინააღმდეგია სკოლისა, სწავლისა, ობსკურანტია, სტუდენტების წინააღმდეგია, და სხვა ამისთანა ლათაიებს? მაშ, რა ალაპარაკებს მემატიანეს ისეთს ამბებს, რომელიც თვითაც არა სჯერა,—მე დარწმუნებული ვარ—რომელსაც არც ერთი მისი მკითხველი სარწმუნოდ არ მიიღებს. მიზეზი ის თუ იქმნება, რომ „ავხა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა".

მერე განა მარტო მემატიანეა ასეთი ახირებული კაცი? აბა ახლა იმავე „კვალის" იმავე ნომერში მეთაური წაიკითხეთ: „შავი ფიქრები ნ. ბარათაშვილის დასაფლავების გამო". ჩემდა სამწუხაროდ, არა, მთლად ქართველთა სამწუხაროდ, ამ ყოვლად სამწუხარო და ვაგლახ წერილს ქვეშ აწერია ყოვლად ცნობილი და გამოჩენილი სახელი... იცით ვისი?—აკაკისა. ახლა, რა შავი ფიქრები გამოუწვევია ნ. ბარათაშვილის დასაფლავებას? ჩვენი სიქადული, ჩვენი თავმოსაწონი აკაკი მოსთქვამს: რად უნდა მოლვაწეს გვირგვინები, ძვირფასი დამარხვა, ერის გლოვა... მოიტათ, რაც მერგება, ფულად იანგარიშეთ, ჲ ეხლავ მიეცითო. დღევანდელი კვერცხი მირჩევნია ხვალინდელ ქათამსაო. დიახ, არც მეტს, არც ნაკლებს, სწორედ ამას ამბობს. ასე რომ, რაც ბარათაშვილის ნეშტს დიდება და პატივი სცა ერმა, ეს სულ ცალ-ფულად არა ღირებულა; ის ემჯობინებოდა, რომ ეს ამბები სულ არა ყოფილიყო და სიცოცხლის დროს პოეტისთვის ერთი ასი ან ორასი თუმანი გვეჩუქებინა!! „მაშინ ლუკმა-პური მიჭირდა, ახლა ჩემი სახელით სხვებს ქელეხს უმართავენო"! ეს გოდება აკაკისა ახალი არ არის. ადრევ კიდევ ლექსად სწერდა: „გამგუდა უფულენციამაო".

დრო არის, ეს ლიტერატურული მათხოვრობა, არსად და არაოდეს არ გაგონილი, გაიდევნოს. სამწუხაროა! ნუ დაგვავიწყდება, რომ.

„Истинные генiи пишутъ не для того, чтобы жить до смерти, а жить по смерти".

პაატა

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**თელავი**, 2 მაისს. ყველა მაზრა ცოტად თუ ბევრად ცხარე მონაწილეობას იღებს სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის საქმეთა ვითარების განხილვაში. ყველა მაზრა თავ-თავის წარმომადგენელს ჰგზავნის კრებაზე დასასწრებლად. წარმომადგენელთა წასვლაც და დაბრუნებაც საერთო მსჯელობას იწვევს სხვა მაზრების მცხოვრებთა შორის. ჩვენი მაზრა-კი მოკლებულია ამ გონების სავარჯიშო მოედანს. აქედგან მეტად ცოტანი მიდიან, ჩვენ ვერც იმათ წასვლას გავიგებთ ხოლმე და ვერც დაბრუნებას. ამის მიზეზები მრავალია, და, ჩვენდა სამწუხაროდ, არც ერთი მათგანი არ არის შესაწყნარებელი,—ყველა ჩვენს შეუგნებლობას ლაღადებს. ახლა-კი სხვა მიზეზებს ეს უპურობა დაემატა და იქნამდის გაამწვავა ჩვენი საქმე, რომ სხვისთვის ველარ მოგვიცლია, ყოველ დღე იმის კითხვაში ვართ: ვინ მოიტანა პური, როგორ ჰყიდის, როგორ და რამდენს ყიდულობს გლეხი, როგორ ექცევიან გამყიდველები სოფლელებს და სხვ., და სხვ. ამის შემდეგ, რასაკვირველია, ზოგს ვაქებთ და ვლოცავთ, ზოგს ვაძაგებთ და ვწყევლით. ამ დღიურ საჭირ-ბოროტოს გამორკვევამ თელავი ორ დასად გაჰყო: ერთი ხელმძღვანელობს იმ აზრით, რომ ქვეყანას ერთი კაცი ვერ ააშენებს და ქვეყანა-კი ერთ კაცს ადვილად ააშენებსო, და ასეც იქცევა, აქებს იმას, ვისაც გაჭირვებულთა მდგომარეობით განუზრახავს თავისი აშენება; მეორე ამბობს, მართალია, ერთი კაცი ქვეყანას ვერ ააშენებს, მაგიერად, ქვეყნის დამშვენება შეუძლიან თავისის ადამიანობით, მომეტებულად ადამიანურის თანაგრძნობითაო, და ყველა, ვინც უნდა იყოს, ამისთანა გაჭირების დროს, მოძმის ხელის გამმართავი ღირსია საზოგადოებისაგან მადლობისა და პატივისცემისა. დასასაბუთებლად თავის შეხედულობისა სამაისოდ გამართულს საზოგადო სადილზედ პატივის საცემლად მოიწვია საზოგადოებამ თელავის მოქალაქე ი. ა. ოსკანოვი, ჯერ-ჯერობით ყველაზედ მომეტებულად ადამიანურ გრძნობის თვალ-საჩინო გამომხატველი, და მიჰმართა მას საზოგადოებამ შემდეგის სიტყვით: „პატივცემულო იაგორ არტემას ძევ, თქვენი საზოგადოებისადმი პატივისცემა და გაჭირვებულთა მიმართ თანაგრძნობა გამოიხატა ფრიად საგრძნობელად ჲ ამიტომ ყველა პატიოსანი კაცი მოვალეა იხსოვდეს თქვენნი წასაბაძავნი მოქმედებანი, მიმართულნი საზოგადო სასარგებლოდ, საზოგადო გაჭირვების შესამსუბუქებლად.

„თქვენმა მეცადინეობამ გაგვიორკეცა საშუალება ტფილისთან შეერთებისა და მეტად გაგვიადვილა.

„თქვენ მიიღეთ მხედველობაში ჩვენის მაზრის გაჭირვება შიმშილობის გამო და მის შესამსუბუქებლად იხმარეთ ყველა ღონისძიებანი, რომელნიც-კი ხელთა გქონდათ.

„თქვენ ორივე საქმეში იქამდის დაივიწყეთ პირადი სარგებლობა, რომ კეთილის მყოფნი კიდეც შიშობდნენ, თქვენი შეძენილი ქონება საზოგადო საქმისათვის ბრძოლაში არ დაგეკარგნათ, და აქაც თქვენმა სიფხიზლემ და შრომამ სძლია ყოველს დაბრკოლებას.

„ყოველი ესე იქნობამდის ღირსია თანაგრძნობისა, რომ დღეს საზოგადოებას უნდა თავისი საერთო სურვილი საჯაროდ გამოსთქვას და ეს სურვილი არის, რომ თქვენი ნაყოფიერი შრომა, საზოგადო კეთილდღეობისადმი მიმართული, ღმერთმა მრავალს წელს განაგრძოს!"

კარგია, ძალიან კარგია, როდესაც საზოგადოება თვისთა წევრთა ავ-კარგიანობის განხილვაში შედის: ავსა ჰგმოს და კარგს საჯაროდ აქებს. ეს ნიშანია გამოღვიძებისა, გამოფხიზლებისა და მომავალთათვის საჩინო მაგალითი.

ნადიკვრელი

## უცხოეთი

**გერმანია.** რეიხსტაგის დათხოვნის გამო ამ ჟამად ძლიერ დიდი მითქმამოთქმაა გაზეთებში. ყველა პროგრესიული გაზეთი ჰკიცხავს რეიხსტაგის დათხოვნას. გაზეთი „Franf. Z."-ი სწერს: „თუ ახალ არჩევნების დროს არჩეულ იქნებიან ისევ ის დეპუტატები, რომელნიც ეხლა დაითხოვეს, მაშინ ისეთი ამბავი მოხდება, რომ ვერავინ იცყვის რითი გათავდება ეს ამბავი. მაგრამ მთავრობას-კი ეტყობა, ამ ამბისა არ ეშინიან." « ermania» სწერს: „რეიხსტაგის გარდაწყვეტილება უტყუარი ნიშანია გერმანიის განთავისუფლებისა. ამ გარდაწყვეტილებამ დაამტკიცა, რომ ეხლაც კი ერს იმდენი გარდასახადი აწევს, რომლის ატანაც თითქმის შეუძლებელია. ეს გარდასახადი ართმევს ხალხს უკანასკნელს საშუალებას წარმატებისას. ხოლო გაზეთი „N. Fr. P" ძლიერა სწუხს, რატომ არ დაამტკიცა რეიხსტაგმა კანონ-პროექტიო, და სხვათა შორის, ამბობს: რაც უნდა მოხდეს, გერმანიას ძლიერ დააქვეითებს კანონისუარყოფა, რადგანაც, თუ გერმანიის მძლავრობა შესუსტდა, მას აღარ შეეძლება მშვიდობიანობა დაიცვას და ცივილიზაცია წარმატების გზაზედ დააყენოს. ინგლისის თითქმის ყველა გაზეთები ჰკიცხავენ რეიხსტაგს, რად არ დაამტკიცა სამხედრო კანონ-პროექტიო. Times-ი განსაკუთრებით ულტრამონტანთა და პროგრესტებსა ჰკიცხავს, რომელთაც დაივიწყეს თავიანთი მოვალეობა სამშობლოს წინაშეო". გაზეთი „D. News"-ის აზრით, რეიხსტაგის ეხლანდელი ამბავი ნიშანია იმ ბრძოლისა, რომელიც დიდი ხანია ასტყდა მთავრობასა და რეიხსტაგს შორის. პალატა ვერ ივიწყებს იმ შეურაცყოფას, რომელიც მიუყენებია მთავრობას ბისმარკის კანცლერობის დროს. Standard-ი გოდებს, კანონ-პროექტი რად უარ-ჰყვესო. ამ გაზეთის აზრით, როცა საფრანგეთისა და რუსეთის სამხედრო სამინისტროები დროს იგდებენ ხელში, წამსვე გერმანიას დაეცემიან და ევროპაში მშვიდობიანობა დაირღვევა. თუ ახლად არჩეულმა რეიხსტაგმაც უარ-ჰყო კანონ-პროექტი, საშინელი უბედურება დატრიალდება. იტალიის გაზეთებიც ასე სჯიან და ამბობენ, რეიხსტაგის დათხოვნა ახალს პოლიტიკას გამოიწვევს ევროპაშიო.

**ინგლისი.** ინგლისის მუშებმა 1 მაისის დღესასწაული 7 მაისისთვის გადასდეს, საკვირაოდ. ამ დღეს გაიდპარკში აუარებელი ხალხი შეიკრიბა; მიუხედავად ამისა დღესასწაული მშვიდობიანად ჩაიარა. იმ 3,000 პოლიციელთ, რომელნიც მახლობლად იყვნენ შეგროვილნი, სრულიად არაფერი საქმე არ მოუხდათ. მუშათა პროცესია გაემგზავრა გაიდ-პარკისკენ ბაირაღებით, ტრანსპარანტებითა და მუსიკით. ორატორებისთვის გამართული იყო 22 პლატფორმა. წრევანდელი 7 მაისის დღესასწაული სწორედ რომ ჯონ ბერნსის დღესასწაული იყო. ჯონის სურათები დახატული იყო ახალ ბაირაღებზედ. თითონ ჯონი ტრიბუნის მაგიერად შედგა ძველ პოვოსკაზე და 100,000 მუშათა წინაშე სიტყვა წარმოსთქვა. ხალხი „ვაშას" ძახილით მიეგება. ჯონ ბერნსმა, სხვათა შორის, სთქვა: აგერ ოთხი წელიწადია, რაც მაისის პირველ კვირა დღეს აქა გროვდება 100,000 კაცი და ირჩევს დეპუტაციას პარლამენტში გასაგზავნად. და აი გონიერ ქცევისა, მოთმინებისა და მუშათა შორის სრულის თანხმობის გამო, მალე ვეღირსებით გამარჯვებას. ამ ერთობის გამო ჩვენი საქმე კარგად მიდის. ავსტრალიასა და ამერიკაში ჩვენი სურვილი უფლებობს; ევროპის ყველა სახელმწიფოში ბურჟუაზიას ძლიერ ეშინიან რევოლიუციისა. ინგლისში ეს რევოლიუცია მშვიდობიანად მოხდა. ჩვენი სურვილი ეხლა ეს არის: დაწესებულ იქმნას, რომ მუშამ დღეში 8 საათის მეტი არ იმუშავოს.

საყურადღებოა ბერნსის შემდეგი სიტყვები. იქნება იკითხოთ, გაფიცვას რად უნდა დავანებოთ თავი და პარლამენტს რად უნდა მივმართოთო? იმიტომ, რომ ეხლა გაფიცვას დრო აღარ არის. გაფიცვა ეხლა საშიში იარაღია, რადგანაც ფულის პატრონნიც ეხლა შეერთდნენ და შეერთებულს ძალას გაფიცვით ვერ შევაშინებთ. საჭიროა ვეცადნეთ, რომ პარლამენტმა დაამტკიცოს ჩვენი უფლება.

ბერნსის გარდა ილაპარაკა 23 მა ორატორმა, მათ შორის საზოგადოებათა პალატის დეპუტატმა ნაოროჯიმ. ქალებმაც ბევრმა მიიღო მონაწილეობა დღესასწაულში. განსაკუთრებულის აღტაცებით მოისმინეს მუშებმა მისტრის ელეონორა მარკს ეველინგის სიტყვა. დღესასწაული გადიხადეს მუშებმა გლაზგოსა, დუბლინსა, ნორტგამპტომში და სხვა ქალაქებშიაც. ყველგან დიდ-ძალი ხალხი იყო შეგროვილი და უწესოება არა მომხდარა-რა.

**საფრანგეთი.** რიშელიეს ქუჩაზედ ერთს რესტორანში, გრაფ პარიჟელის სახელ წოდების დღეს შეგროვდნენ მიტინგზედ ახალგაზდა როიალისტები. გაუგზავნეს დეპეშები ჰერცოგს ორლეანელს ბრიუსელში, და დალიეს სადღეგრძელო საფრანგეთის მეფისა. რესპუბლიკელებს ძლიერ არხეინად ეძინათ და ამ ბანკეტისთვის ყურადღებაც არ მიუქცევიათ. ბანკეტზედ წარმოთქმული სიტყვები ვერაფრად იყო შესანიშნავი. ეტყობა, გრაფ პარიჟელის მანიფესტს ვერაფერი გავლენა ჰქონია ხალხზედ, თუმცა განზრახ პანამის უწესოების დროს იყო გამოცხადებული. ეტყობა, როცა უნდა მოხდეს ახალი არჩევნები, მონარქისტები ვერას გახდებიან და პირიქით მათი საქმე უკან დაიწევს. თუ ასეა, ამბობენ საფრანგეთის გაზეთები, მონარქისტების ძახილს: „გაუმარჯოს მეფესა" არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო.

## წერილი რედაქციის მიმართ

გიგზავნით 60 მანათს, რომელიც შეაგროვეთ 1890 და 1891 წელს. ეს ფული, გთხოვთ მიუმატოთ იმ სალიტერატურო ფონდს, რომელიც დაარსდა ნ. ბარათაშვილის სახელობით.

მარიამ კერესელიძისა.
ლევან ფურცელაძე.

# დეპეშა

7 მაისი

**პეტერბურგი** გამოცხადებულია დებულებანი: 1, მოსპობილ იქმნას ციმბირში გაგზავნილ დედაკაცთა ცემა. 2, კურსკო-კიევის რკინის გზის საზოგადოებას შეცვალოს სახელი კიევ-ვორონეჟის საზოგადოებად.

გაზეთები ამბობენ, რომ სახელმწიფო საბჭომ უკვე დაამტკიცა პროექტი ქირით გაცემულ სახლებზედ გარდასახადის დაწესებისა.

8 მაისი

**პარიჟი.** ზარალი, რომელიც გოლვის გამო მოუვიდათ მხვნელ-მთესველთ, მილიარდ ფრანკამდე ადისო.

1 მაისის ტირაჟში 500 მანეთიანი მოგება ჰხვდა შემდეგ ბილეთებს:

| №№ სერ. | №№ ბილეთ. | მოგება | №№ სერ. | №№ ბილეთ. | მოგება |
|---|---|---|---|---|---|
| 14563 | 44 | 200000 | 10053 | 28 | 1000 |
| 10352 | 10 | 75000 | 2199 | 32 | 1000 |
| 3417 | 20 | 40000 | 3174 | 39 | 1000 |
| 7162 | 44 | 25000 | 663 | 11 | 1000 |
| 11523 | 28 | 10000 | 6970 | 16 | 1000 |
| 15547 | 42 | 10000 | 5829 | 43 | 1000 |
| 13549 | 31 | 10000 | 3283 | 32 | 1000 |
| 9321 | 3 | 8000 | 3164 | 26 | 1000 |
| 587 | 27 | 8000 | 9000 | 1 | 1000 |
| 12640 | 25 | 8000 | 3080 | 14 | 1000 |
| 5864 | 48 | 8000 | 9894 | 14 | 1000 |
| 365 | 35 | 8000 | 13360 | 40 | 1000 |
| 5513 | 42 | 5000 | 4021 | 1 | 1000 |
| 179 | 45 | 5000 | 15617 | 27 | 1000 |
| 10293 | 19 | 5000 | 1245 | 1 | 1000 |
| 5679 | 45 | 5000 | 10473 | 48 | 1000 |
| 5866 | 6 | 5000 | 3251 | 48 | 1000 |
| 1324 | 41 | 5000 | 2776 | 2 | 1000 |
| 10990 | 13 | 5000 | 4396 | 15 | 1000 |
| 14315 | 8 | 5000 | 7509 | 49 | 1000 |

ხუთას მანათიანი.

| №№ სერ. | №№ ბილეთ. | №№ სერ. | №№ ბილეთ. | №№ სერ. | №№ ბილეთ. |
|---|---|---|---|---|---|
| 14,788 | 4 | 14,108 | 28 | 2,628 | 47 |
| 821 | 7 | 14,505 | 7 | 5,851 | 24 |
| 788 | 35 | 3,542 | 9 | 3,362 | 4 |
| 13,695 | 4 | 2,693 | 10 | 13,480 | 48 |
| 11,209 | 48 | 8,617 | 32 | 6,348 | 33 |
| 4,136 | 25 | 7,915 | 37 | 3,990 | 44 |
| 4,868 | 12 | 8,840 | 20 | 11,263 | 9 |
| 30 | 12 | 12,827 | 25 | 940 | 49 |
| 3,204 | 45 | 9,878 | 28 | 2,638 | 11 |
| 10,748 | 41 | 4,538 | 47 | 7,281 | 33 |
| 3,331 | 16 | 15,276 | 23 | 5,676 | 21 |
| 13,057 | 27 | 14,281 | 31 | 15,078 | 43 |
| 2,056 | 12 | 10,813 | 2 | 5,811 | 12 |
| 13,190 | 17 | 13,746 | 18 | 7,131 | 18 |
| 445 | 22 | 635 | 22 | 9,781 | 40 |
| 13,722 | 17 | 13,535 | 29 | 10,405 | 14 |
| 1,841 | 47 | 6,629 | 32 | 13,162 | 32 |
| 531 | 17 | 7,380 | 4 | 1,779 | 2 |
| 12,870 | 32 | 7,552 | 12 | 4,342 | 34 |
| 7,019 | 34 | 1,321 | 16 | 9,979 | 18 |
| 2,404 | 47 | 14,027 | 7 | 2,490 | 46 |
| 2,955 | 16 | 14,359 | 22 | 11,653 | 50 |
| 5,433 | 15 | 8,732 | 40 | 4,890 | 50 |
| 6,750 | 34 | 5,929 | 34 | 6,603 | 23 |
| 10,081 | 32 | 4,993 | 19 | 13,783 | 36 |
| 7,954 | 18 | 5,466 | 23 | 5,688 | 19 |
| 673 | 49 | 9,571 | 35 | 13,286 | 21 |
| 7,565 | 28 | 4,615 | 32 | 10,300 | 50 |
| 3,888 | 16 | 11,581 | 2 | 9,700 | 6 |
| 6,878 | 23 | 7,911 | 39 | 3,111 | 36 |
| 3,057 | 23 | 4,540 | 40 | 4,842 | 15 |
| 4,539 | 41 | 8,395 | 40 | 5,458 | 31 |
| 5,612 | 40 | 6,061 | 37 | 9,134 | 9 |
| 13,256 | 16 | 7,509 | 37 | 4,914 | 2 |
| 3,941 | 37 | 10,099 | 11 | 14,564 | 28 |
| 9,938 | 7 | 13,141 | 41 | 2,662 | 37 |
| 2,976 | 36 | 8,097 | 39 | 4,142 | 50 |
| 1,406 | 47 | 4,243 | 50 | 5,162 | 50 |
| 9,745 | 30 | 15,519 | 22 | 113 | 37 |
| 3,570 | 49 | 9,159 | 24 | 12,299 | 45 |
| 7,995 | 28 | 1,319 | 7 | 10,997 | 3 |
| 4,656 | 6 | 15,280 | 36 | 9,673 | 39 |
| 3,030 | 13 | 10,651 | 40 | 6,290 | 11 |
| 8,947 | 48 | 3,690 | 19 | 11,470 | 23 |
| 1,818 | 25 | 5,919 | 17 | 10,138 | 25 |
| 3,830 | 44 | 3,488 | 36 | 9,169 | 14 |
| 9,184 | 3 | 10,432 | 44 | 9,266 | 9 |
| 15,543 | 32 | 10,010 | 25 | 9,731 | 17 |
| 2,990 | 15 | 3,371 | 25 | 4,742 | 38 |
| 10,460 | 50 | 2,715 | 36 | 12,757 | 50 |
| 11,681 | 26 | 13,210 | 26 | 12,930 | 9 |
| 199 | 9 | 7,152 | 2 | 8,781 | 32 |
| 1,867 | 14 | 4,909 | 3 | 14,274 | 23 |
| 14,556 | 41 | 5,134 | 37 | 9,653 | 19 |
| 363 | 14 | 723 | 45 | 12,402 | 44 |
| 736 | 2 | 12,347 | 31 | 7,275 | 31 |
| 5,825 | 37 | 15,584 | 37 | 11,358 | 34 |
| 2,962 | 44 | 9,614 | 27 | 2,488 | 19 |
| 7,205 | 11 | 8,590 | 20 | 10,844 | 49 |
| 15,751 | 46 | 863 | 9 | 2,717 | 29 |
| 15,468 | 10 | 9,397 | 22 | 13,901 | 19 |
| 2,851 | 33 | 12,763 | 31 | 6,049 | 26 |
| 14,158 | 50 | 2,962 | 50 | 14,844 | 44 |
| 906 | 44 | 13,988 | 10 | 2,486 | 42 |
| 15,811 | 23 | 3,564 | 17 | 10,133 | 38 |
| 325 | 43 | 4,542 | 50 | 6,361 | 42 |
| 14,605 | 48 | 8,808 | 48 | 4,348 | 20 |
| 7,530 | 30 | 13,293 | 27 | 5,413 | 4 |
| 358 | 29 | 9,356 | 10 | 6,052 | 29 |
| 14,868 | 39 | 7,376 | 45 | 15,402 | 44 |
| 13,742 | 24 | 6,081 | 37 | 14,823 | 37 |
| 11,126 | 36 | 4,820 | 24 | 3,873 | 41 |
| 14,494 | 10 | 11,573 | 21 | 15,894 | 14 |
| 14,217 | 37 | 8,772 | 14 | 271 | 16 |
| 11,065 | 48 | 7,458 | 34 | 7,805 | 18 |
| 11,630 | 27 | 8,045 | 42 | 12,360 | 33 |
| 13,923 | 19 | 1,322 | 20 | 14,461 | 32 |
| 1,914 | 10 | 12,515 | 40 | 14,920 | 37 |
| 8,367 | 36 | 3,108 | 16 | 5,311 | 36 |
| 14,177 | 9 | 13,538 | 16 | 13,091 | 11 |
| 12,922 | 45 | 14,701 | 29 | 15,869 | 22 |
| 8,712 | 22 | 12,387 | 45 | 47 | 37 |
| 15,783 | 2 | 15,883 | 46 | 13,689 | 41 |
| 11,050 | 10 | 4,694 | 37 | 15,399 | 37 |
| 5,980 | 37 | 15,396 | 4 | 7,081 | 25 |
| 2,699 | 25 | 13,405 | 43 | 896 | 40 |
| 5,312 | 44 | 13,964 | 45. | | |

პეტერბურგის ბირჟა, 7 მაისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,72 | 7 3/4 | — ,, |
| ტრამოყნის კუპონები . | 154 | 155 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | 1,66 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 245 |
| —მეორისა . . . | — ,, | — ,, | 222 |
| 4% მესამე სესხისა. . | 99 3/8 | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 193 1/4 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | — ,, | 101 | — ,, |
| 5% . . . . . | — ,, | 100 1/4 | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — ,, | 101 | — ,, |
| 5% . . . . . | — ,, | 100 1/4 | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | 97 |

## გამოსადეგი ცნობანი

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო ატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს 52 წ. სად.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. სად.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. სად.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ, დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ფოთიდგან გადის:

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც


## განცხადებანი

# კბილის ექიმი
# ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—53)

გამოვიდა და ისყიდება ტფილისში „ქართველთა ამხანაგობის“ და „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

# ქრისტინე

მოთხრობა

ე. ნინოშვილისა

გამოცემული

პ. გოგუაძისა და დ. ქვლივიძის მიერ

ფასი ერთი აბაზი

# პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათ სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი, $11^1/_2$—$12^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

მ. ზ. ქანანოვი, $12^1/_2$—1 საათამდის, სნეულებანი: საშვილო და დედათ სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ა. მ. ფუგინოვი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: ბავშვებისა და შინაგანი.

ი. ვ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. ა. გადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

ე. ი. ფრანცუსი, 7—$7^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა (ელექტრონით და ზელვით წამლობა) ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.




# VÉRITABLE BÉNÉDICTINE

(ნამდვილი ლიკიორი ბენიდიქტნი)

Fécamp-ის სააბატოსი (საფრანგეთში)

საუცხოო, ადამიანის მომღონიერებელი, საჭმლის მონელების ხელ-შემწყობი და მადის აღმძვრელი.

უველაზედ საუკეთესო ლიკიორთა შორის

VÉRITABLE LIQUEUR BÉNÉDICTINE
Marques déposées en France et à l'Etranger
A. Legrand ainé

ყოველთვის მოითხოვეთ, რომ ოთხ-კუთხი იარლიკი ჰქონდეს დაკრული ბოთლს ქვემოდგან, უფროსის დირექტორის მიერ ხელ-მოწერილი.

ი ყ ი დ ე ბ ა საუკეთესო გასტრონიმიის მაღაზიებში და ყოველ ქალაქის უმთავრესს ღვინის საწყობებში.

СЕЗОНЪ 1893 ГОДА.

„ТОВАРИЩЕСТВО ПРОМЫШЛЕННИКОВЪ САРПИНСКЫХЪ ИЗДѢЛІЙ“

золотая медаль сэнъжилль 1892 г. — **сарпинка—платки** — **чулочная пряжа—юбки** сарпинка — сарпинка **рельефъ—чесунча** сарпинка — золотая медаль брюссель 1892 г.

Ручнаго ткачества, собственной выработки. Продажа цѣльн. штуками и аршинами—пересылка во всѣ мѣста Россійской Имперіи и за-границу. Образцы, въ изящномъ „Альбомѣ“, высылаются съ Декабря мѣсяца 1892 г. за 42 коп. почтовыми марками. Переписку просимъ вести *на русскомъ языкѣ*.

Золотая медаль Лондонъ 1892 г. АДРЕСЪ: САРАТОВЪ—Товариществу Сарпинокъ. Золотая медаль Брюссель 1891 г.

СЕЗОНЪ 1893 ГОДА.

# საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება ჭირნახულისა სეტყვისაგან

საზოგადოების მმართველობა პატივისცემით აუწყებს **ვენახებისა, ხეხილიანის ბაღებისა, თამბაქოსა, სვიისა, და ბამბის** ნათესობის პატრონთ, რომ საზოგადოებასთან არსდება **ცალკე განყოფილება** ყოველ ზემოხსენებულის **სეტყვისაგან დაზღვევისათვის.** ვისაც სურს ჩაეწეროს საზოგადოების წევრად, რათა აღნიშნულ ქონების, დაზღვევის ნება ჰქონდეს სეტყვისაგან უნდა მიჰმართოს საზოგადოების საგენტოს, რომელიც იმყოფება ვერიამინოვის ქუჩაზედ, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა დილის 9-დამ ნაშუადღევის 2 საათამდე.

(50—29) წარმომადგენელი კავკასიისათვის დ. ქ. თუთაევი